

<b>სავალუტო გარიგების მომსახურების წესები და პირობები</b>	
<b>სახელმძღვანელო</b>	
დამტკიცებულია	დირექტორატი
მფლობელი	ხაზინის და ნაღდი ანგარიშსწორების დეპარტამენტი
პირველი ვერსიის თარიღი	27 იანვარი, 2021
მოქმედი ვერსიის თარიღი	27 იანვარი, 2021

## **შინაარსი**

1. მიზანი .....	1
2. ტერმინთა განმარტება .....	2
3. ფინკა ბანკის როლი მომხმარებლებთან მიმართებაში .....	3
4. კლიენტთან კომუნიკაცია .....	3
5. კლიენტისთვის ფასის დადგენა .....	3
6. სავალუტო გარიგების აღსრულება .....	4
7. დავები .....	4
8. სახელმძღვანელო დოკუმენტები .....	4

### **1. მიზანი**

დოკუმენტის მიზანია დეტალურად აღიწეროს სავალუტო ბაზარზე კლიენტსა და ფინკა ბანკს შორის ვაჭრობის ძირითადი ასპექტები.

ფინკა ბანკი საქართველო ხელმძღვანელობს სავალუტო ბაზარზე საქმიანობის წესით და FX გლობალური კოდექსით ("FX Code"). ეროვნული ბანკის წესი სავალდებულოა ბაზრის იმ მონაწილეთათვის, რომლებიც ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმაზე ვაჭრობენ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. მართალია FX კოდექსი არ არის იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტი, მაგრამ წარმოადგენს მისაღები ქცევის სტანდარტების ერთობლიობას, რომელიც ხელს უწყობს ეფექტური, სამართლიანი, ღია და სათანადო გამჭვირვალე ბაზრის განვითარებას. ფინკა ბანკი საქართველო მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მხარს უჭერს ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკებს, მათ შორის FX კოდექსში მოცემულ მეთოდებს.

## 2. ტერმინთა განმარტება

ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სავალუტო ბაზარი - სისტემებისა და წესების ერთობლიობა, რომლის მეშვეობით სავალუტო ბაზრის მონაწილეები რეგულარულად დებენ სავალუტო გარიგებებს;

ბ) სავალუტო ბაზარზე მონაწილეობა - სავალუტო ბაზარზე მონაწილეობად მიიჩნევა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკების, საბროკერო კომპანიების და რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ერთმანეთთან ან კლიენტებთან სავალუტო გარიგების რეგულარული განხორციელება;

გ) სავალუტო ბაზრის მონაწილე - სავალუტო ბაზრის მონაწილედ მიიჩნევა ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტები, რომლებიც რეგულარულად ახორციელებენ სავალუტო გარიგებებს;

დ) სავალუტო გარიგება - სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ, კლიენტთან ან/და სავალუტო ბაზრის სხვა მონაწილესთან ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებით დადებული ნებისმიერი გარიგება;

ე) წინსწრებით ვაჭრობა - წინსწრებით ვაჭრობა არის ისეთი ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, სადაც სავალუტო ბაზრის მონაწილე, რომელსაც აქვს წინასწარი ინფორმაცია მისი კლიენტის დავალების შესახებ, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ (მესამე პირის მეშვეობით), წინასწარ, კლიენტის დავალების აღსრულებამდე დებს გარიგებას პირადი სარგებლის მიღების მიზნით;

ვ) წინარე ჰეჯირება - სავალუტო პოზიციის გახსნა ან სხვაგვარი ისეთი ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც უკავშირდება კლიენტის მოსალოდნელ დავალებას და რომელიც მიზნად არ ისახავს კლიენტისთვის მდგომარეობის გაუარესებას და არ იწვევს სავალუტო ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას;

ზ) ანგარიშსწორების ინსტრუქციები - სავალუტო ბაზრის მონაწილესა და მის კლიენტს შორის წინასწარ შეთანხმებული წესებისა და პირობების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ ანგარიშსწორების დროს;

თ) პრინციპალი მოვაჭრე - სავალუტო ბაზრის მონაწილე, რომელიც კლიენტთან სავალუტო გარიგებას დებს საკუთარი სახელით და საკუთარი რისკით;

ი) აგენტი მოვაჭრე - სავალუტო ბაზრის მონაწილე, რომელიც კლიენტის დავალების აღსრულების მიზნით, სავალუტო ბაზრის სხვა მონაწილესთან შედის სავალუტო გარიგებაში, სავალუტო რისკის აღების გარეშე.

კ) კლიენტის დავალება - სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ, სავალუტო გარიგებასთან დაკავშირებით კლიენტისგან მიღებული დავალება.

ლ) კონტრაქტი - სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ დადებული სავალუტო გარიგების მეორე მხარე.

### **3. ფინკა ბანკის როლი მომხმარებლებთან მიმართებაში**

ფინკა ბანკი საქართველო მომხმარებლებთან მიმართებაში, ამ მომენტისთვის მოქმედებს მხოლოდ პრინციპალი მოვაჭრის სტატუსით (ფინკა ბანკი არ მოქმედებს მომხმარებელთან მიმართებაში აგენტი მოვაჭრის სტატუსით).

გარიგების დადების დროს, ფინკა ბანკი საქართველო არ მოქმედებს როგორც კლიენტის ფიდუციარი ან მრჩეველი. ნებისმიერი დადებული გარიგება, ხორციელდება იმ დამკვეთით, რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის, გამოცდილების და შესაბამის მხარეთა პროფესიონალური რჩევების საფუძველზე.

### **4. კლიენტთან კომუნიკაცია**

ფინკა ბანკი საქართველო კლიენტს შესაძლებლობას აძლევს დადოს სავალუტო გარიგებები მასთან შეთანხმებული საკომუნიკაციო არხების საშუალებით (ელ.ფოსტა; შეტყობინება ინტერნეტ ბანკის მეშვეობით, Bloomberg ჩეთი (კომუნიკატორი), სატელეფონო კომუნიკაცია).

ფინკა ბანკი კლიენტთან კომუნიკაციას აწარმოებს ზუსტად, ნათლად, პროფესიონალურად და ისე, რომ მიზანმიმართულად შეცდომაში არ შეიყვანოს კლიენტი.

ბანკის სახელით კლიენტთან კომუნიკაციისას ხაზინის თანამშრომელს შეუძლია გააცნოს მას ბაზრის ზოგადი ტენდენციები, მიაწოდოს სავალუტო ბაზარზე არსებული ზოგადი ინფორმაცია კონფიდენციალურობის დაცვით, რაც არ იძლევა კონკრეტული სუბიექტის ან კონკრეტული გარიგების იდენტიფიცირების საშუალებას.

კლიენტის მიერ ფინკა ბანკთან სავალუტო გარიგებების დადება არ ზღუდავს კლიენტს იგივე მომსახურება მიიღოს ბაზრის სხვა მონაწილისგან არც გარიგების დადების მომენტში და არც მის შემდეგ.

კლიენტს შეუძლია ფინკა ბანკთან გარიგება დადოს როგორც კონტრაგენტმა, მოითხოვოს ფასები და შეათანხმოს სასურველი პირობები. ფინკა ბანკი კლიენტთან ვაჭრობს მხოლოდ როგორც პრინციპალი მოვაჭრე.

### **5. კლიენტისთვის ფასის დადგენა**

როგორც პრინციპალმა მოვაჭრემ, ფასდადებისას ფინკა ბანკი საწყის კურსად იყენებს მის მიერ ბლუმბერგზე გამოქვეყნებულ FX სპოტ კურსებს და დამატებით ითვალისწინებს ისეთ

ფაქტორებს, როგორცაა არსებულ ბაზარზე ტრანზაქციის ტიპის ლიკვიდობა, გარიგების ზომა ან / და სირთულე, საკრედიტო ხარჯები, ბალანსის უწყისი და კაპიტალი, რისკის ლიმიტი, ვაჭრობის საპროცესო ხარჯები, გაყიდვების მცდელობები და სხვა რელევანტური საკითხები. ვინაიდან ეს ფაქტორები შეიძლება განსხვავდებოდეს, ფინკა ბანკმა შეიძლება შესთავაზოს განსხვავებული ფასები სხვადასხვა მომხმარებელს იმავე ან მსგავსი FX სპოტ გარიგების დროს.

## 6. სავალუტო გარიგების აღსრულება

ფინკა ბანკი საქართველო, კლიენტთან შეთანხმების დადებისას, მოქმედებს სამართლიანად, გამჭვირვალედ, რაც მათ შორის მოიცავს სავალუტო გარიგების დადების დროულ/სწრაფ უზრუნველყოფას, დადასტურებასა და ანგარიშსწორებას, კლიენტის კონკრეტული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით. სავალუტო გარიგების აღსრულების დეტალები სავალუტო გარიგების დადების დროს, ინდივიდუალურად თანხმდება კლიენტთან.

## 7. დავები

აღნიშნული პირობების დარღვევის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს შესაბამის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურს [fincageo@finca.ge](mailto:fincageo@finca.ge) ან ქოლ-ცენტრის დეპარტამენტს [callcenter@finca.ge](mailto:callcenter@finca.ge) (ტელ: (+99532)2244949) ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ეროვნულ ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური განათლების დეპარტამენტს <https://www.nbg.gov.ge/cp/index.php?m=3>

## 8. სახელმძღვანელო დოკუმენტები

მოცემული დოკუმენტი შეესაბამება საქართველოში არსებულ რაიმე სახის კანონს ან მარეგულირებელ წესს.

ბაზრის მონაწილეები FX მარკეტზე ოპერირებისას ხელმძღვანელობენ:

ეროვნული ბანკის რეგულაცია სავალუტო ბაზარზე საქმიანობის წესი  
[\[https://matsne.gov.ge/document/view/4931766?publication=0\]](https://matsne.gov.ge/document/view/4931766?publication=0)

FX გლობალური კოდექსი [\[https://www.globalfx.org/docs/fx\\_global.pdf\]](https://www.globalfx.org/docs/fx_global.pdf)